სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 22 0001379353

31/10/2022

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2022 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადების განსაზღვრის შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისი №42/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 23 სექტემბრის MES 4 22 0001151692 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას, 2022 წლის 03 ნოემბრიდან 04 ნოემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 17:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ. დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტზე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა (იხ.დანართი №2).

3. ბრძანების შესრულების კოორდინაცია დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსს ედიშერ კვესიტაძეს.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
6. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
რექტორის მოადგილე
ზურაბ გასიტაშვილი